

**შემნახველი ანაბრის ხელშეკრულების მნიშვნელოვანი პირობები**

<b>ანაბრის საპროცენტო განაკვეთი</b>	
ანაბრის საპროცენტო განაკვეთის ტიპი:	ცვლადი
ანაბრის წლიური საპროცენტო განაკვეთი:	წლიური_%.
ანაბრის ეფექტური საპროცენტო განაკვეთი:	მაგ: თუ ყოველი დღის ბოლოს საანაბრე ანგარიშზე არსებული ნაშთი შეადგენს 10,000 ერთეულს, ანაბრის ეფექტური საპროცენტო განაკვეთი იქნება წლიური: -%.
მინიმალური თანხა, რომლის ზევით ხდება პროცენტის დარიცხვა: 1000 (შესაბამისი ვალუტა)	

<b>ფინანსური ხარჯები</b>	
თანხის განადგების საკომისიო:	0.2% GEL / 0.6% (უცხოური ვალუტა)

<b>სხვა სახელშეკრულებო ინფორმაცია</b>	
ანაბრის (დეპოზიტის) მოცულობა:	___ (შესაბამისი ვალუტა)
<b>უცხოურ ვალუტაში გახსნილი ანაბრის შემთხვევაში:</b>	
ეროვნულ ვალუტაში მსგავსი პირობების მქონე პროდუქტთან დაკავშირებულ ინფორმაციას შეგიძლიათ გაეცნოთ ბანკის ვებგვერდზე <a href="http://www.tbcbank.ge">www.tbcbank.ge</a> .	
უცხოური ვალუტით განთავსებული დეპოზიტი მომხმარებელს მნიშვნელოვანი რისკის წინაშე აყენებს!	
ვალუტის კურსის ცვლილებამ შესაძლოა ლარით გამოხატული სარგებელი მნიშვნელოვნად შეამციროს!	
ლარის შესაძლო 15 %-იანი წლიური გამყარების შემთხვევაში გაანგარიშებული დეპოზიტის ეფექტური საპროცენტო განაკვეთი იქნება წლიური: ___%.	

<b>გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ:</b>	
თქვენი დეპოზიტი დაზღვეულია „დეპოზიტების დაზღვევის სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე შექმნილ დეპოზიტების დაზღვევის სისტემის ფარგლებში.	
ხელშეკრულების მნიშვნელოვანი პირობების (წინამდებარე თავსართში მოცემული პირობების, მათ შორის საპროცენტო განაკვეთის) ცვლილების შემთხვევაში, მომხმარებლის ინფორმირება მოხდება ცვლილებამდე არანაკლებ 2 (ორი) თვით ადრე, ხოლო სხვა საფინანსო პროდუქტის ფასის ზრდის შემთხვევაში - არანაკლებ 1 (ერთი) თვით ადრე მოკლე ტექსტური შეტყობინებით.	
მომხმარებელს უფლება აქვს წარადგინოს პრეტენზია ბანკში ზეპირი, თავისუფალი წერილობითი, სტანდარტული წერილობითი ან ელექტრონული ფორმით.	
გაეცანით მომხმარებელთათვის სასარგებლო ინფორმაციას საქართველოს ეროვნული ბანკის ვებგვერდზე - <a href="http://www.nbg.gov.ge/cp">www.nbg.gov.ge/cp</a> და ცხელ ხაზზე - +995 322 406406.	

## შემნახველი ანაზრის ხელშეკრულება

### 1. ხელშეკრულების საგანი

- 1.1. ბანკი შეანაზრებს უხსნის ამ ხელშეკრულების 2.5 პუნქტში მითითებულ საანაზრო ანგარიშს, რომელზეც შეანაზრებს შეეძლება თანხის შეუზღუდავად შეტანა და ჩარიცხვა.
- 1.2. „დეპოზიტების დაზღვევის სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, 2024 წლის პირველი იანვრიდან, ყველა დეპოზიტორის დეპოზიტზე/ანგარიშზე არსებული თანხა, დეპოზიტების/ანგარიშების რაოდენობის მიუხედავად, თითოეულ კომერციულ ბანკში და მიკრობანკში დაზღვეულია და დეპოზიტების დაზღვევის სააგენტოს მიერ ანაზღაურდება 30 000 ლარის ფარგლებში. კომერციულ ბანკში და მიკრობანკში ყველა დეპოზიტორის ყველა ანგარიშზე არსებული თანხა ავტომატურად დაზღვეულია დამატებითი საზღაურის გარეშე. დამატებითი ინფორმაცია იხილეთ დეპოზიტების დაზღვევის სააგენტოს ვებგვერდზე: [www.diagency.ge](http://www.diagency.ge).

### 2. ანაზრის პირობები

2.1 ანაზრის ტიპი:	“შემნახველი”
2.2 ანაზრის ვალუტა:	
2.3 საპროცენტო განაკვეთი:	წლიური ___%
2.3.1 ეფექტური საპროცენტო განაკვეთი:	წლიური ___%
2.3.2 ანაზრის საპროცენტო განაკვეთის ტიპი:	ცვლადი
2.4 საპროცენტო სარგებლის დარიცხვის პერიოდულობა:	თვეში ერთხელ, ყოველი კალენდარული თვის ბოლო დღეს
*იმ შემთხვევაში, თუ წინამდებარე ხელშეკრულების გაფორმების თარიღი ემთხვევა თვის ბოლო სამუშაო დღეს, დარიცხული პროცენტის რეალიზაცია და კლიენტის ანგარიშზე ასახვა განხორციელდება მომდევნო თვის პირველივე სამუშაო დღეს.	
2.5 საანაზრო ანგარიშის ნომერი:	
2.6 ანგარიში, რომელზეც ჩარიცხება სარგებელი:	
2.7 თანხის შეტანის და გატანის შესაძლებლობა:	შეუზღუდავი
2.8 თანხის განაღდებას საკომისიო:	0.2% GEL / 0.6% (უცხოური ვალუტა)

### 3. ანაზრზე სარგებლის დარიცხვის პირობები

- 3.1. ანაზრს დაერიცხება საპროცენტო სარგებელი ამ ხელშეკრულების 2.3 პუნქტში მითითებული განაკვეთის მიხედვით ამ ხელშეკრულების 5.1.1 ქვეპუნქტში აღნიშნული ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესით.
- 3.2. ამ ხელშეკრულების 2.3 პუნქტით გათვალისწინებული საპროცენტო სარგებელი დაერიცხება ყოველი საოპერაციო დღის ბოლოს საანაზრო ანგარიშზე არსებულ ნაშთს ამ ხელშეკრულების 2.4 პუნქტში მითითებული პერიოდულობით. ამასთან, საპროცენტო სარგებლის მისაღებად (დასარიცხად) აუცილებელია ყოველდღიური მინიმალური ნაშთი 2.5 პუნქტში მითითებულ ანგარიშზე შეადგენდეს 1000 (შესაბამისი ვალუტა)
- 3.3. წინამდებარე ხელშეკრულების 2.3 პუნქტით გათვალისწინებული საპროცენტო განაკვეთი მოქმედებს -----ს ჩათვლით, ხოლო ამ პერიოდის გასვლის შემდეგ ანაზრის საპროცენტო განაკვეთად განისაზღვრება ბანკის მიერ დადგენილი (ბანკში მოქმედი) იურიდიული პირების მოთხოვნამდე ანაზრების სტანდარტული საპროცენტო განაკვეთი.

### 4. ანაზრის შეწყვეტის პირობები

- 4.1. ბანკს უფლება აქვს ნებისმიერ დროს შეწყვიტოს ანაზრის ხელშეკრულების მოქმედება და/ან დახუროს საანაზრო ანგარიში შეანაზრის მიერ ბანკთან დადებული ხელშეკრულების დარღვევის, საანაზრო ანგარიშზე 6 (ექვსი) თვის განმავლობაში ნაშთის არ არსებობის და/ან საანაზრო ანგარიშის მემუგობით ოპერაციების განუხორციელებლობის შემთხვევაში (ამ პუნქტის მიზნებისთვის ოპერაციის განხორციელებად არ ჩაითვლება ბანკის მომსახურების საფასურის

გადარიცხვა/ჩარიცხვა კლიენტის ანგარიშიდან). ანგარიშის დახურვის შემთხვევაში კლიენტს დაუბრუნდება შესაბამის ანგარიშზე რიცხული თანხა.

4.2. მენაბრის მოთხოვნით ანაბრის შეწყვეტისთვის პირგასამტეხლო არ არის დადგენილი;

### 5. ხელშეკრულების პირობები

5.1. ეს ხელშეკრულება იმავდროულად წარმოადგენს მენაბრის განაცხადს საანაბრო და საანგარიშსწორებო (მიმდინარე) ანგარიშ(ებ)ის გახსნის შესახებ, რომლის ხელმოწერითაც მენაბრე ადასტურებს, რომ :

5.1.1. წინამდებარე ხელშეკრულება წარმოადგენს ბანკსა და კლიენტს შორის გაფორმებული საბანკო ოპერაციების წარმოების შესახებ ხელშეკრულების (მასში ასახულ ყველა ცვლილებასა და დამატებას) განუყოფელ ნაწილს.

5.1.2. ამ ხელშეკრულებას აფორმებს მხოლოდ საკუთარი საჭიროებისათვის და არ მოქმედებს სხვა (მესამე) პირის დავალებით ან სასარგებლოდ, არ აქვს ურთიერთობა ფიქტიურ ბანკთან (“შელ ბანკთან”) და ამ ხელშეკრულებაში აღწერილი გარიგება არ არის საეჭვო, რაც ნიშნავს იმას, რომ ის არ არის უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის მიზნით გაფორმებული და ქონება (მათ შორის, ფულადი სახსრები), რომლის საფუძველზეც დაიდო ან/და შესრულდება ეს გარიგება არ არის მოპოვებული/წარმოშობილი დანაშაულებრივი საქმიანობიდან;

5.1.3. თანახმაა ბანკმა გაუხსნას საანგარიშსწორებო (მიმდინარე) ან/და მოთხოვნამდე ანაბრის (სადეპოზიტო) ანგარიშ(ებ)ი (ნებისმიერ ვალუტაში), საანაბრო ანგარიშ(ებ)ზე თანხ(ებ)ის შეტანის/ჩარიცხვის ან/და საანაბრო ანგარიშ(ებ)-იდან თანხ(ებ)ის გატანის/გადარიცხვის მიზნით;

5.1.4. იმ შემთხვევაში, თუ: ა) ანაბრის ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვლება ისე, რომ იგი შესაძლოა ზარალიანი აღმოჩნდეს ბანკისთვის და/ან საფრთხე შეუქმნას ბანკის ფინანსურ სტაბილურობას; ბ) ანაბრის პირობები (მათ შორის საპროცენტო განაკვეთი) არ/აღარ შეესაბამება ბანკის მიმდინარე პოლიტიკას; გ) განხორციელდება იმგვარი საკანონმდებლო და/ან სხვა სახის ცვლილება, რომელიც აუარესებს ბანკის მდგომარეობას, ბანკი უფლებამოსილი იქნება, ხელშეკრულების მოქმედების ნებისმიერ ეტაპზე ცალმხრივად შეცვალოს (შეამციროს) წინამდებარეს ანაბრის საპროცენტო განაკვეთი და/ან წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პროდუქტის/მომსახურების ნებისმიერი პირობა. ამგვარი ცვლილებ(ებ)ის შესახებ, ბანკი მენაბრის ინფორმირებას უზრუნველყოფს ცვლილებამდე 2 (ორი) თვით ადრე მოკლე ტექსტური შეტყობინების გაგზავნით, ხოლო თუ იცვლება ანაბართან დაკავშირებული სხვა „საფინანსო პროდუქტის“ ფასი, ამგვარი ცვლილების შესახებ მენაბრის ინფორმირება განხორციელდება ცვლილებამდე 1 (ერთი) თვით ადრე მოკლე ტექსტური შეტყობინების გაგზავნით;

5.1.5. თანახმაა, ბანკმა არ მიაწოდოს ინფორმაცია მენაბრისთვის სასარგებლო ცვლილებების შესახებ.

5.2. ბანკს უფლება აქვს კლიენტისთვის შეტყობინებისთვის გამოიყენოს კომუნიკაციის ნებისმიერი საშუალება (მათ შორის ელექტრონული, ციფრული, სატელეფონო და სხვა);

5.3. მენაბრის მიერ ბანკთან დადებული ხელშეკრულების პირობების დარღვევის შემთხვევაში ბანკი უფლებამოსილია შეწყვიტოს მენაბრესთან გაფორმებული წინამდებარე ხელშეკრულება.

5.4. კლიენტს (მომხმარებელს) უფლება აქვს ბანკს მიმართოს პრეტენზიით ზეპირი, წერილობითი ან ელექტრონული ფორმით. პრეტენზიის ზეპირი ფორმით დასაფიქსირებლად მომხმარებელს შეუძლია მიმართოს სს „თიბისი ბანკის“ სატელეფონო სერვისცენტრს +995 322 272727. პრეტენზიის სტანდარტული წერილობითი ფორმის მიღება შესაძლებელია ბანკის ფილიალებსა და სერვისცენტრებში. ელექტრონული ფორმით პრეტენზიის დაფიქსირება შესაძლებელია ინტერნეტბანკის ან ბანკის ვებგვერდის ([www.tbcbank.ge](http://www.tbcbank.ge)) საშუალებით. კლიენტის მიერ დაფიქსირებული პრეტენზიის განხილვის მაქსიმალური ვადაა, განმცხადებლის მომართვისა და იდენტიფიკაციიდან არაუგვიანეს 1 (ერთი) თვე. პრეტენზიებს განიხილავს სს „თიბისი ბანკის“ მომხმარებელთა მხარდაჭერის განყოფილება. პრეტენზიასთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილების შესახებ, კლიენტს ეცნობება წერილობით და/ან კომუნიკაციის სხვა საშუალებით (ელექტრონული, ციფრული, სატელეფონო ან სხვა). პრეტენზიის განხილვის მიმდინარეობასთან დაკავშირებით ინფორმაციის მიღება შესაძლებელია ნებისმიერ ფილიალში/სერვისცენტრში და/ან დისტანციური არხების საშუალებით.

**ხელშეკრულების 5.5 პუნქტი გათვალისწინებულია უცხოური ვალუტის ანაზრის შემთხვევაში:**

- 5.5. ლარის შესაძლო 15%-იანი წლიური გამყარების შემთხვევაში გაანგარიშებული დეპოზიტის ეფექტური საპროცენტო განაკვეთი შეადგენს %-ს.
- 5.6. მხარეები თანხმდებიან, რომ ამ ხელშეკრულებიდან (შეთანხმებიდან) გამომდინარე ან მასთან დაკავშირებული ნებისმიერი დავა, გადაწყდება ურთიერთმოლაპარაკების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, მხარეთა შორის არსებული დავა განიხილება და გადაწყდება, მხარეთა შორის გაფორმებული „საბანკო ოპერაციების წარმოების შესახებ“ ხელშეკრულების პირობების თანახმად.
- 5.7. მხარეები თანხმდებიან, რომ წინამდებარე ხელშეკრულება შესაძლებელია გაფორმდეს როგორც მატერიალური, ისე ელექტრონული ფორმით. თუ ხელშეკრულებაზე ხელმოწერა შესრულებულია ელექტრონული ხელმოწერით, მათ შორის პლატფორმა Signify-ის მეშვეობით, ასეთ შემთხვევაში კლიენტი აცხადებს თანხმობას და ადასტურებს, რომ კლიენტის (კლიენტის უფლებამოსილი წარმომადგენლის) მიერ წინამდებარე დოკუმენტზე შესრულებულ კვალიფიციურ ან/და განვითარებულ ელექტრონულ ხელმოწერას გააჩნია წერილობითი/მატერიალური დოკუმენტისა და პირადი ხელმოწერის თანაბარი იურიდიული ძალა.

**ხელშეკრულების 5.8 პუნქტი ვრცელდება მხოლოდ დისტანციური არხით ( მათ შორის ინტერნეტ/მოზაილ ბანკი, სატელეფონო სერვის ცენტრი) დადებულ ანაზრის ხელშეკრულებაზე:**

- 5.8 მეანაზრეს არ აქვს უფლება უარი თქვას წინამდებარე ხელშეკრულებაზე „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის და/ან საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2021 წლის 9 მარტის №32/04 ბრძანებით დამტკიცებული „ფინანსური ორგანიზაციების მიერ მომსახურების გაწევისას მომხმარებელთა უფლებების დაცვის წესის“ მიხედვით.